

საქართველოს კანონი

“დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1.

“დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს 1998 წლის 9 დეკემბრის (1998წ, საკანონმდებლო მაცნე №7, მუხლი 49) კანონში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის “ა” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“დაწყებითი პროფესიული განათლების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე სახელმწიფო ამ სფეროში უზრუნველყოფს:

ა) სახელმწიფოს ხარჯზე დაწყებითი პროფესიული განათლების მიღების უფლებას დაწყებითი პროფესიული განათლების სტანდარტების შესაბამისად. სახელმწიფოს ხარჯზე მოსწავლეთა მისაღები კონტინგენტი განისაზღვრება სახელმწიფო დაკვეთით.”

ბ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 8. დაწყებითი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი

1. ლიცენზირებული და სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო დაწყებულებები, დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, გარდა დამატებითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა, ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულებზე გასცემენ შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის შესაბამისი ნიშნის სახელმწიფო სერტიფიკატს დიპლომს.

2. პირს, რომელსაც არ დაუმთავრებია დაწყებითი პროფესიული განათლების პროგრამის სრული კურსი, მიეცემა შესაბამისი ცნობა.”

გ) მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 10. დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო დაწყებულებების სახეები

1. დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო დაწყებულების სახეებია:

ა) სახელობო სასწავლებელი, რომელიც ახორციელებს სახელობო მომსახურების პროგრამას;

ბ) პროფესიული სასწავლებელი, რომელიც ახორციელებს დაწყებითი პროფესიული განათლების პროგრამებს საბაზო განათლების მიღების შემდეგ, აგრეთვე საშუალო განათლების მიღების შემდეგ, მოთხოვნის შემთხვევაში, სახელობო და დამატებითი პროფესიული განათლების პროგრამებს;

- გ) პროფესიული ლიცეუმში, რომელიც ახორციელებს პროფესიული განათლების პროგრამებს (მაღალი კვალიფიკაციის მინიჭებით), აგრეთვე მოთხოვნის შემთხვევაში – დაწყებითი პროფესიული განათლების პროგრამებს საშუალო ზოგადი განათლების მიღების შემდეგ ან მიღების გარეშე, ასევე სახელობო და დამატებითი პროფესიული განათლების პროგრამებს;
 - დ) სპეციალური პროფესიული სასწავლებელი, რომელიც ახორციელებს სახელობო მომზადების, დაწყებითი პროფესიული განათლების და დამატებითი პროფესიული განათლების პროგრამებს ინვალიდებისა და დევიანტური ქცევის ბავშვებისათვის;
 - ე) სასჯელის აღსრულების დაწესებულებებთან არსებული პროფესიული სასწავლებელი, რომელიც ახორციელებს სახელობო, დაწყებითი პროფესიული განათლების და დამატებითი პროფესიული განათლების პროგრამებს მსჯავრდებულთათვის;
 - ვ) პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი, სასწავლო საწარმო და კურსები, რომლებიც ახორციელებენ პროფესიული განათლების პროგრამებს.
2. პირი, რომელიც არ წარმოადგენს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ დაწესებულებას, უფლებამოსილია განახორციელოს დამატებითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.”

დ) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის “კ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“კ) შეარჩიოს მოსწავლეთა კონტინგენტი დაკვეთის ან ხელშეკრულების შესაბამისად.”

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი